№ 16 1883—1904 30 აგვისტო

# მწყემსი

ოფიციალური განყოფილება

## უმაღლესი მანიფესტი.

ნებითა ღვთისათა,

**ჩვენ, ნიკოლოზ მე-II,**

იმპერატორი და თვითმპყრობელი

**სრულიად რუსეთისა,**

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა

და სხვათა, და სხვათა, და სხვათა.

შევსწირეთ-რა მადლობა სამეფოთა ბედის გამგებელს უზენაესს, რომელმაც სახლი ჩვენი აკურთხა და ჩვენ პირმშო ძე გვიბოძა, მემკვიდრე ცესარევიჩისა დ̃ დიდის მთავრის ალექსი ნიკოლოზის ძის წმ. ნათლობის სასიხარულო დღეს მივმართავთ განგების მიერ ჩვენდამი რწმუნებულს რუსეთის ხალხს.

წელს ჩვენს ერს მძიმე განსაცდელი ეწვია, მაგრამ ამავე განსაცდელმა მთელს ქვეყანას დაანახვა შეუდრეკელის მამაცობისა და სამშობლოსადმი განუსაზღვრელის სიყვარულის დიდებული მაგალითები. ამისთანა დროს ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა დახმარება მივაწოდოთ ჩვენს ქვეშევრდომთ და შევუმსუბუქოთ მათ უპირველესი საჭიროებანი იმ ღონისძიებათა დამოუკიდებლად, რომელნიც სახელმწიფოს კეთილდღეობის მოსაწესრიგებლად აღნიშნული იყვნენ 1903 წ. 26 თებერვლის მანიფესტში.

უპირველესად ყოვლისა მივაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენი საგლეხო და ზოგიერთ არა რუსთა მართვა-გამგეობის სათავეში მდგომი დაწესებულებანი დღემდის ხმარობდენ სასჯელად როზგის დარტყმას. ეს სასჯელი ძველ დროთაგან იყო მიღებული ჩვენს კანონმდებლობაში, მაგრამ, ჩვენის უავგუსტოეს წინაპართა ნებით, თან-და-თან ისპობოდა, როგორც საზოგადო სასჯელი. ეხლა, ჩვენის დაუვიწყართა პაპისა და მამის განზრახვათა აღსასრულებლად, კეთილად ვსცანით ვბრძანოთ, რომ მოისპოს ეგ სასჯელი გლეხთა და არა რუსთათვისაც. დეე, ამ გარემოებამ უფრო გააძლიეროს ხალხში კეთილი ზნე-ჩვეულებანი დ̃ ყოველ ადამიანს კანონიერ უფლებისადმი პატივისცემა დაუნერგოს. ამასთან ერთად საჭიროდ ვსთვლით მოისპოს ამიერიდან როზგით დასჯა ხმელეთისა და ზღვის ჯარებშიაც. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სასჯელის მოსპობა შეაძლებინებს ჯარებს მეტის პატივით დაიცვან თავისი სახელი და ამიტომაც დავამტკიცეთ ამის შესახებ შედგენილი დადგენილებანი, რომელიც ამასთანავე ცხადდება.

შეგნებული გვაქვს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ცხოვრებაში სოფლის მცხოვრებთა ნივთიერს კეთილდღეობას და ამიტომ ჩვენის მეფობის უკანასკნელს წლებში განსაკუთრებულის მზრუნველობით მოვეპყარით გადასახადთა მოკრეფის წეს-რიგის გაუმჯობესების საქმეს. ამ განზრახვით, საფინანსო უწყების მიერ შემუშავებულ იქმნა განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომლებმაც, გლეხთა საურთიერთო პასუხის გების მოსპობასთან ერთად, უზრუნველ-ჰყვეს გადასახადთა წესიერი შეგროვება და ამასთანავე მოსპეს გადასახადთა შესაგროვებლად იმ დრომდე არსებული უსამართლო ღონისძიებანი. ეხლა ჩვენ მოვისურვეთ სრული განმტკიცება გადასახადთა მოგროვების აწინდელი წეს-რიგი და ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ გადავსწყვიტეთ, თუმცა ეს საზარალოა ხაზინისათვის, სრულიად ვაპატიოთ ხალხს დღემდე მასზე დარჩენილი გადასახადი სანადელო მიწებისა, საეროზოსა და სხვა.

გვებრალება რა იმ აფიცერთა და ჯარის კაცთა დაობლებული შვილები, რომელთაც შორეულ-აღმოსავლეთში სისხლით აღბეჭდეს რუსეთისადმი მხურვალე სიყვარული, ჩვენ წმინდა მოვალეობად ვსთვლით, ყოველი ღონე ვიღონოთ ნივთიერად მათ უზრუნველყოფისა და აღზრდისათვის. ამასთანავე, ჩვენ წინაპართა აღთქმისაებრ, განვიზრახეთ ამ დღესასწაულ დღეს მივანიჭოთ წყალობა ყველა იმათ, ვისაც ეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ. ამის დახმარების ხელს ვაწვდით იმათ, ვისაც, სიღარიბისა ან დროებით გაჭირვების გამო, დროზე ვერ შეუტანია გადასახადი, აგრეთვე იმათ, ვინც დაარღვია კანონი, მაგრამ სასჯელით უკვე მოინანია დანაშაული ან და სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო პატიების ღირსია. ამიტომ ყოვლად უმოწყალესად ვბრძანებთ:

I. 1) მოისპოს როზგით დასჯა სხვა-და-სხვა დანაშაულისა გამო სოფლელთა და არა რუსთათვის, აგრეთვე ყველა იმ პირთათვის, რომელნიც განთავისუფლებულნი არ იყვნენ ამ სასჯელისაგან განსაკუთრებულ კანონების ძალით. ეს სასჯელი დამნაშავეთ შეეცვალოს სხვა გვარ დასჯით, რომელიც აღნიშნულია სათანადო კანონებში; 2) გაუქმდეს დადგენილებანი, აღნიშნული კანონთა კრებულის მე-XV ტომის, 1261 და 1377 მუხლებში; 1885 წ. სასჯელთა დებულებაში და აგრეთვე მე-XI ტომის მეორე ნაწილის 281 და 282 მუხლებში.

II. მიენიჭოს შემდეგი შეღავათი სხვა-და-სხვა გადასახადებში: 1. გამოირიცხოს ანგარიშებიდან 1904 წლის 1 იანვრამდის ყველა დარჩენილი გადასახადი და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე არ შევსებული: ა) გამოსასყიდად სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადისა, რომელიც გლეხთა სანადელო მიწებზეა დაწესებული; ბ) საიჯარო, საკიბიტკო და საკომლო გადასახადებისა; გ) გაუქმებულ სახაზინო გადასახადებისა. ეპატიოს გლეხთა სანადელო ადგილებზე დაწესებული საადგილ-მამულო გადასახადი იმ გუბერნიებში, სადაც ეროზა არსებობს; საეროზო დაწესებულებათ ეს ფული სახელმწიფო ხაზინამ შეუვსოს, თანახმად 1904 წლის 10 მაისის კანონისა. 2. უმაღლესს სენატის ბრძანებით 1902 წ. 11 მაისს, დაწესებული დამატებითი გადასახადი პოლტავისა და და ხარკოვის გუბერნიის ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებებში—მოისპოს. 3. სრულიად ეპატიოს მემკვიდრის დაბადებამდე დარჩენილი გადასახადი: ა) საიჯაროსი, რომელიც აძევს სახელმწიფო მიწებზე გადასახლებულებს; ბ) სახაზინო გადასახადებისა, რომელიც აძევს წინანდელ სოფლის საზოგადოებათ და ამ საზოგადოებებში ახალ გადმოსახლებულთ, თანახმად 1899 წ. გამოც. კანონ. კრებ. მე-XI ტომის, 726—733 მუხლებისა და 706 მუხლის დამატების მეორე შენიშვნისა. 4. ეპატიოს ყველა დარჩენილი საკომლო და საოჯახო გადასახადი ჩვენის კაბინეტის უწყების ალატის ოლქის მცხოვრებთ. 5. ეპატიოს ყველა დარჩენილი გადასახადი, 1904 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი, ჩვენის კაბინეტის ქოხ და ბინადარ არა-რუსთ. 6. ეპატიოს საადგილ-მამულო იჯარის დარჩენილი ფული მემკვიდრეს დაბადების დღემდე შემდგარი, ყოფილ სამთო-მადნო გლეხთ ალტაისა და ნერჩინსკის ოლქში. 7. ეპატიოს 1904 წ. 1 იანვრამდე დარჩენილი ფული სამრეწველო გადასახადისა (კან. კრებ. მე-V ტომის, 366—559 მუხ.); არ ეპატიება მხოლოდ იმ სამრეწველო დაწესებულებათ, რომელნიც ვალდებულნი არიან თავისი ანგარიშები გამოაქვეყნონ; აგრეთვე კანონთა კრებულის მე-V ტომის 521 მუხლში აღნიშნულ სამრეწველო დაწესებულებათ. ეპატიებათ სამრეწველო გადასახადის დარჩენილი ფული, თუ იგი 50 მანეთს არ აღემატება; მხოლოდ თუ მეტია, 50 მან. გამოაკლდება. 8. გამოირიცხოს ანგარიშიდან იმ გადასახადის 1904 წლამდე დარჩენილი ფული, რომელიც დაწესებულია ორთქლის ქვაბებზე. 9. გამოირიცხოს ანგარიშიდან მემკვიდრის დაბადების დღემდე დარჩენილი ფული იმ გარდასახადისა, რომელიც დაწესებულია ნავთ-სადგურებსა, გემებზე, თვითეულ შემთხვევაში უნდა ეპატიოს არა უმეტეს 600 მან. 10. ეპატიოსთ მემკვიდრის დაბადებამდე გადაუხდელი ფული ნაოსნობისა დ გზატკეცილების სახაზინო გადასახადებისა, თვითეულ შემთხვევაში არა უმეტეს 600 მანეთისა.

III. ეპატიოთ ჯერ გამოუანგარიშებელი ან შეუვსებელი მემკვიდრეს დაბადების დღემდე: 1. ყოველ გვარი ჯარიმა, რომელიც ხაზინას ერგება პირდაპირ გადასახადთა დროზე შეუტანლობის გამო (კანონ. კრებ. მე-V ტომი, მუხ. I), გარდა იმ გა-

დასახადებისა, რომელიც აღნიშნულია ამა მე-III მუხლის მე-2 პუნქტში. 2. სამრეწველო გადასახადის წესების დარღვევისათვის მისაჯულ ჯარიმიდან ეპატიოსთ 600 მან., ხოლო თუ ჯარიმა 600 მანეთს აღემატება, საერთო ჯამს 600 მან. მოაკლდეს. 3. ეპატიოს ჯარიმა თუ იგი 600 მან. არ აღემატება, სამთო სამრეწველო საქმეების პატრონთ, რომელიც იმათ მიესაჯა მემკვიდრეს დაბადების დღემდე სამრეწველო წესდების 153—155 მუხლების დარღვევისათვის; ხოლო თუ ჯარიმა აღნიშნულ ნორმას აღემატება, საერთო ჯამს 600 მან. მოაკლდეს. 4. ეპატიოთ ჯარიმა მემკვიდრის დაბადების დღემდე საღერბო წესდების დარღვევისათვის მისაჯული, არა უმეტეს 600 მანეთისა; თუ ჯარიმა მეტი იქნა, 600 მან. გამოეკლოს; აგრეთვე ეპატიოს მთელი ჯარიმა იმათ, ვინც დაარღვია საღერბო წესდება, 1900 წლის 10 ივნისის საღერბო წესდების შემოღებამდე. 5. ეპატიოთ ჯარიმა, რომელიც ერგება ხაზინას საღერბო წესდების 166 და 168 მუხლების ძალით (ტომი მე-V, ბაჟის წესდება, 1903 წ. გამოც.). 6. გამოირიცხოს ანგარიშებიდან სხვა-და-სხვა დაწესებულებაზე და პირებზე ნაანგარიშევი ჯარიმა იმ შემწეობის უდროოდ გადახდისათვის, რომელიც სახელმწიფო ხაზინას ერგებოდა 1900 წ. 1 იანვრამდე. 7. ეპატიოს კერძო სამთო მრეწველთ მათზე ნაანგარიშევი: ა) ჯარიმა სადესიატინო და ამოღებულ მადნის გადასახადის დროზე შეუტანლობის გამო; ბ) ჯარიმა სამთო წესდების დარღვევის გამო. 8. ეპატიოს ჯარიმა სადესიატინო გადასახადის შეუტანლობის გამო ოქროს მრეწველთ, როგორც სახაზინო მიწებზე, ისე ჩვენის კაბინეტის ალტაისა და ნერჩინსკის ოლქებში; 9. ეპატიოთ ჯარიმა არა უმეტეს 600 მან. იმათ, ვისაც იგი მიესაჯა კასპიის ზღვაში და ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში თევზაობის წესების დარღვევისათვის; კასპიის ზღვის მეთევზეთ —1903 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა, ხოლო ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის მეთევზეთ—1904 წ. 1 იანვრამდე შეგროვილი ჯარიმა, 10. ეპატიოთ ჯარიმა დადგენილი საჩივრების უწესოდ დაწყებისათვის და აგრეთვე ნახევარი იმ ჯარიმისა, რომელიც ხაზინის სასარგებლოდ გადაიდება ხოლმე უსამართლო აპელაციის გამო. 11. ეპატიოთ ჯარიმა იმ ებრაელთა ოჯახებს, რომელთა უკანონოდ თავიდან აიცილეს სამხედრო ბეგარა; ჯარიმა, დანიშნული მემკვიდრის დაბადებამდე 5 და მეტის წლის წინად, თანახმად სამხედრო ბეგრის წესდების 395 მუხლისა; ეპატიოთ მთელი ჯარიმა იმათ, ვისაც იგი მიესაჯა 5 წლის წინად, ხოლო ვისაც მიესაჯა უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში, იმათ ეპატიოთ არა უმეტეს 300 მანეთისა.

IV. ეპატიოთ გაუწერელ გადასახადის და მაგარ სასმელების დარჩენილი ფული (ნედოიმკები), გარდა საღერბოსი და სხვა-და-სხვა ბაჟებისა, რომელიც არ არის აღნიშნული ამ მანიფესტის მეორე და მესამე მუხლებში; ეპატიოთ აგრეთვე ნედოიმკები ტუსაღების შენახვისა და გაგზავნის ხარჯისა, რომელიც არ გადახდილა ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე და 5 თუმანს არ აღემატება; თუ დარჩენილი ფული (ნედოიმკა) დიდ ჯამს შეადგენს, ხუთი თუმანი გამოეკლოს.

V. მე-II; მე-III და მე-IV მუხლებში აღნიშნული შეღავათი არ ეხება:

ა) იმ თანხებს, რომელიც თუმცა მთავრობას არ ეკუთვნის, მაგრამ მთავრობის განკარგულებაში კია და რომელსაც სპეციალური დანიშნულება აქვს, გარდა მეორე მუხლის მე-9 პუნქტში აღნიშნულ სანავთსადგურო გადასახადის თანხისა. ბ) იმ თანხებს, რომელნიც სახაზინო იჯარებისა და საქმეების დროს მოიჯარადრეებს ერთმევათ. გ) იმ ფულს, რომელიც პატენტების აღებისა, სააქციზო და სადამოჟნო გადასახადების გასტუმრების დროს დარჩენილა. დ) იმ თავნ თანხებს, რომელიც ხაზინას ერგება, როგორც შემწეობა, მაგრამ კი არ მიუღია. ე) იმ დარჩენილ ფულს სამესამედო ჯამაგირისას, რომელიც სამსახურში მყოფთა აქვთ.

VI. ეპატიოთ 1904 წლის პირველ იანვრამდე შემდგარი ნედოიმკები იმათ, ვისაც წინდაწინ პენსია წაუღია ხაზინიდან, აგრეთვე ვისაც ჯამაგირი და პენსია წაუღია ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების საქარხნო თანხებიდან; ეპატიოთ ამავე ხნის განმავლობაში შემდგარი ნედოიმკები იმათ, ვინც დამნაშავეა ასეთ პენსიების და ჯამაგირების გაცემისთვის, თუ ესენი პასუხის გებაში არ არიან მიცემულნი და არა ჰბრალდებათ მათ ანგარებით ან სხვა უკანონო განზრახვით ზარალის მოტანა.

VII. აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ზარალი, რომელიც ჩვენის მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე შესდგა სამსახურს გარეშე მყოფ სალდათებისა,

იმათ ცოლებისა და ქვრივებისათვის ერთდროულ და მუდმივ პენსიების უწესოდ დანიშვნისა და მიცემისა გამო, აგრეთვე იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს სამსახურისათვის 5 მანეთიან თვიურ პენსიების უწესოდ დანიშვნისა ან მიცემისა გამო.

VIII. 1) ეპატიოთ სხვა-და-სხვა პირთ, საზოგადოებებს და დაწესებულებებს ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე არ შეკრებილი ნედოიმკები, რომელიც შესდგა ავადმყოფთა მკურნალობისათვის სახაზინო, სამეფო კარის უწყებისა და ალტაისა და ნერჩინსკის ოლქების საავადმყოფოებსა, ლაზარეთებსა, სამკურნალოებსა და ქსენონებში, აგრეთვე დედოფალ მარიამის დაწესებულების უწყების დაწესებულებებში. 2) აღარ ჩაითვალოს ანგარიშში ის თანხები, რომელიც კონსულებმა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე დახარჯეს რუსის მეზღვაურთა მკურნალობასა და სამშობლოში დაბრუნებაზე და რომელიც ნედოიმკებად ითვლება ან უნდა ჩაეთვალოს მეზღვაურებს ან გემის პატრონთ.

IX. 1) აღარ უნდა გამოერთოთ და ანგარიშიდანაც გამორიცხულ უნდა იქნას: ა) ის ფული, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე ხაზინაში უნდა შეტანილიყო ან სახაზინო სასწავლებლების სპეციალურ თანხას უნდა მიეღო ამ სასწავლებელში სწავლისათვის და სახელმწიფო სადგომით სარგებლობისათვის. ბ) მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე შემდგარი ნედოიმკები იმათზე, რომელთაც სასწავლებლებში სახელმწიფო ხარჯით სწავლა მიუღიათ და ამ ფულის გასტუმრების ნაცვლად, დანიშნული ვადა უნდა ემსახურნათ, მაგრამ არ უმსახურნიათ. გ) მემკვიდრე ცესარევიჩის დღემდე შემდგარი და არ ჩამორთმეული ფული სწავლისა და აღზრდისა იმ სასწავლებელში, რომელნიც დედოფალ მარიამის უწყებას ექვემდებარებიან. დ) ის დარჩენილი ფული, რომელიც ალტაისა და ნერჩინის ოლქების მოსამსახურეებზე ითვლება შვილების სწავლისა და აღზრდისათვის ადგილობრივ სასწავლებლებში. ე) განთავისუფლებულ იქნეს 20 მანეთის გადახდისაგან, თუ სიღარიბის მოწმობას წარადგენენ, ისინი ვინც უნივერსიტეტებში სწავლა დაამთავრეს და გამოსაცდელ კომისიებში 1905 წლის 31 დეკემბრამდე ეგზამენს დაიჭერენ.

X. 1) განთავისუფლებულ იქმნენ საუფლისწულო, სამეფო, სამეფო კარის და ჩვენის კაბინეტის უწყებათა მოიჯარადრენი სხვა-და-სხვა ხარჯისაგან ამ რიგად: ა) ეპატიოთ სასოფლო-სამეურნეო ადგილების მოიჯარადრეებს 1904 წლის 1 იანვრამდე შემდგარი და მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადებამდე არ გასტუმრებული ნედოიმკები; ხოლო იმ გადაუხდელ ნედოიმკებიდან, რომელიც 1900 წლიდან 1904 წლის 1 იანვრამდე შესდგა, თითო იჯარადარს ეპატიოს არა უმეტეს ექვსას მანეთისა. თუ ხსენებული საიჯარო ადგილები აღებული აქვთ გლეხებისა და მოქალაქეების (მეშჩანების) საზოგადოებებს, აგრეთვე ამხანაგობას, რომელშიაც 3 წევრი მაინც, ეპატიოს თვითეულ სახლის პატრონს ან ამხანაგობის თვითვეულ წევრს ორას-ორასი მანეთი, ორწევრიან ამხანაგობას-კი—სამას-სამასი მანეთი თვითვეულ წევრს. ბ) ეპატიოთ იჯარადრებს ჩვენის ტახტის მემკვიდრის დაბადებამდე არ გასტუმრებული ჯარიმები და ზარალი, რომელიც შესდგა საკონტრაქტო პირობების დარღვევისა ან შეუსრულებლობისა გამო, სახელდობრ: უწესოდ ან მეტ მიწის მოხვნისთვის, მიწის გაუნოყიერებისა, ხეების დაურგველობისა, ახლად დარგულ ტყის აჩეხისა, შენობის დაქცევისა, სამეურნეო ანგარიშების არევისა, უძრავ ქონების არ ჩვენებისა და სხვა უკანონო საქმეებისათვის; უნდა ეპატიოს ასეთი ზარალი და ჯარიმა თვითვეულ პირს არა უმეტეს სამასი მანეთისა; თუ საიჯარო ადგილები აღებული აქვთ გლეხთა ან მოქალაქეთა (მეშჩანთა) საზოგადოებებს, აგრეთვე ამხანაგობას, რომელშიაც სამი წევრი მაინც არის, —ეპატიოს თვითვეულ სახლის პატრონს ან ამხანაგობის წევრს—ხუთ-ხუთი თუმანი, ხოლო თუ ადგილი აღებული აქვს ისეთ ამხანაგობას, რომელშიაც ხუთი ან ამაზე ნაკლები წევრია,—სამასი მანეთი თვითვეულ ამხანაგობას. არ უნდა დაედოს ჯარიმა აგრეთვე ამ მუხლში ჩამოთვლილ წესების დარღვევისათვის, თუ ეს დარღვევა მოხდა მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე. გ) არ გამოერთვას იჯარადარს ის ზარალი, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე მოხდა მოიჯარადრის მიერ ვადამდე საიჯარო ადგილის თავის განებების გამო და შემდეგ ამ ადგილის ხელ-ახლა გაცემის დროს მომხდარი ზარალი; არ უნდა გამოერთვას მოიჯარადრეს აგრეთვე ის ზარალი, რომელიც მოხდა მიწის მზომლის მიერ პირობის დაუმტკიცებლობით, ზარალის იმ ნაწილის გარდა, რომელიც შეიძლება შევსებულ იქმნას მოიჯარადრის გირაოდან. დ) ეპატიოთ საიჯარო ადგილების როგორც წინანდელ, ისე ეხლანდელ მოიჯარადრეებს მათზე დარჩენილი და მემკვირე ცესარევიჩის დაბადების დღემდე არ გადახდილი ჯარიმა, რომელიც მათ დაედო საიჯარო ფულის დროზე გადაუხდელობის გამო 2) მე-X მუხლის „ბ" და „დ"-ნის პუნქტებში აღნიშნული შეღავათი ეხება აგრეთვე სახელმწიფო მამულებისა და საიჯარო ადგილების ყოველგვარ მოიჯარადრეებს. 3) ეპატიოთ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების დღემდე გადაუხდელად დარჩენილი ჯარიმები, რომელიც ხაზინის ხე-ტყის შემძენთ დაედოთ ფულის დროზე შეუტანლობისა გამო და დაუბრუნდეთ ამ პირთ მათ მიერ წარდგენილ გირაოდან ის თანხები, რომელიც დარჩება ხაზინის ზარალის გასტუმრების შემდეგ.

(შემდეგი იქნება)

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 16 1883—1904 30 აგვისტო

## იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მე-44 რიგის კრების საყურადღებოდ.

1868 წლიდან დღემდის, ოცდა-თექვსმეტი წლის განვლობაში ორმოცდა-სამი კრება ჰქონდა იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებს. მე ვგონებ, რომ არც ერთი დეპუტატი არ დასწრებია ამ სამღვდელოების კრებებს ისე ბეჯითად და განიადაგებით როგორც ჩვენ. იმასაც გაბედულად ვიტყვით, რომ არც ერთ ჩვენ სამღვდელოთაგანს არ უდევნებია ყურადღება ისე ერთგულად და ბეჯითად ამ კრებათა მოქმედებისათვის, როგორც ჩვენში ისე სხვა ეპარქიებში, როგორც ჩვენ. რომ მოვიგონებ საზოგადოდ სამღვდელოების დეპუტატების კრებათა ღვაწლს და სამსახურს გული გრძნობს რაღაცა გამოუთქმელს სიხარულს და მწუხარებას. სიხარულით აღმევსება გული, როდესაც გადავათვალიერებ ძველი დროის უხეიროდ და ღარიბათ მოწყობილ სასწავლებელთა მაგიერ მშვენიერად, უკანასკნელი პედაგოგიის და გიგიენის მოთხვნილებით მოწყობილ სასწავლებლებს, ძველი დროის ბურსების მაგიერ მშვენიერად მოწყობილ ელექტრონით განათებულ პანსიონებს. სამღვდელოების დეპუტატების კრებების წყალობით გამრავლდა სასწავლებლები და ნივთიერად შესამჩნევად გაუმჯობესდა. ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღვის კრებებს. მაგრამ ამ ბოლო დროს ძლიერ ცუდი თვალით დაუწყეს ყურება იმათ, რომელთაც ამ კრებებზე დიდი გავლენა აქვსთ. ამაში დამნაშავეა თვით სამღვდელოების დეპუტატები, რომელნიც ხშირად ივიწყებდენ ხოლმე საზოგადო ინტერესებს და თავის პირად და კერძო ინტერესებისათვის კრებას სახელი გაუტეხეს .. ზოგს კი არ მოსწონს საზოგადოების თავისუფალი აზრი და მსჯელობა და ყოველივე მოქმედება უთუოდ ბრძანებაზე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამყაროს და ფიქრობს, რომ ბრძანებით გაკეთებული საქმე ყოველთვის ნაყოფიერი იქნება თავისუფალ ნამოქმედარზედ...

ამიტომ შეამცირეს სამღვდელოების დეპუტატების უფლებები ზოგიერთ ეპარქიებში. ზოგან ეპარქიებში დეპუტატების მაგიერ საუმჯობესოდ რაცხვენ მარტო ბლაღოჩინები დაიბარონ და მათ გარდააწყვეტინონ სასწავლებლის საქმეები. ზოგან კი დაბარებულ დეპუტატებში ხუთს ან ოთხს **საიმედო სამღვდელო პირს** მიანდობენ სასწავლებლის საქმების გარდაწყვეტას დ სამღვდელოების კრებაც ამით თავდება! უქაზები უწმიდესი სინოდისა, უმაღლესად დამტკიცებული წეს-წყობილებანი სრულებით უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, როდესაც მათი უყურადღებოდ დატოვება ძლიერ მავნებელია საქმისათვის. როცა სასწავლებლების სამართველოებმა კარგა ბლომად მოიპოვეს სასწავლებლის არსებობისთვის ფულები სამღვდელოებისაგან შემდეგ ყოველ წელს ანგარიშის მიცემა და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის ნების გამოთხოვა იუკადრისეს და უარი გამოუცხადეს ანგარიშის მიცემაზე. ამ შემთხვევაში თავი ისახელა ჩვენის ფულით დაარსებულმა იმერეთის საქალებო გაბრიელის სასწავლებლის რჩევამ. ამ სასწავლებლის რჩევამ პირდაპირ უარი გამოუცხადა სამღვდელოების კრებას ანგარიშის მიცემაზე და სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის წარდგენა სამღვდელოების კრებისადმი ნებედასართველად საჩოთიროდ ჩასთვალა. რევიზორმა, მერმე ისიც არხიმანდრიტმა სტეფანემ, თავის ანგარიშში გამოაცხადა, რომ სასწავლებლის რჩევას ორი მანეთის დახარჯვაც არ შეუძლია სამღვდელოების კრების ნება დაურთველადო და რჩევა კი განაცხადებს, რომ სამღვდელოების კრებას არავითარი ნება არა აქვს ჩვენი ხარჯების ანგარიში განიხილოსო...

უნებლიეთ მაგონდება შესანიშნავი სიტყვები, მათ მაღალ აღმატებულების კონსტანტინე პეტრესძის პობედონოსცევისა, რომელნიც მათმა აღმატებულებამ გვითხრა ჩვენი საეპარქიო ქალების სასწავლებლის გახსნის შესახებ თავის სასახლეში.

**1891** წელში სინოდში იყო გაწვეული არხიეპისკოპოსი პალადი ექსარხოსი საქართველოისა. ამ დროს მან თან წაიღო ჩვენი საქალებო სასწავლებლის დაარსების საქმეც. აგვისტოს თვეში მე შემიხვდა წასვლა პეტერბურღში. განსვენებულმა ეპისკოპოსმა გაბრიელმა წასვლის დროზე მითხრა, რომ მისი სახელით მეთხოვა ობერ-პროკურორისათვის დახმარება, რომ სასწავლებლის დაარსების საქმე აღარ დაბრკოლებულიყო და მალე გახსნილიყო ეს სასწავლებელი, რადგან სწავლის მსურველნი მრავალნი არიანო. მეც, რასაკვირველია ამ ქალების სასწავლებლის გახსნის საქმე, როგორც პირველად ჩემგან აღძრული, ძლიერ საინტერესოდ მიმაჩნდა და გამოვეცხადე თუ არა ობერ-პროკურორს, პირველად მოვიკითხე ყ-დ სამღვდელო გაბრიელის სახელით და შემდეგ მოვახსენე მისი და ჩემი თხოვნაც ამ ქალების სასწავლებლის დაარსების შესახებ*) მათმა აღმატებულებამ მიბრძანა შემდეგი სიტყვები, რომელიც ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება. «გადაეცით თქვენს ეპისკოპოსს, რომ მე არ ვურჩევ ეპარქიალური სასწავლებლის დაარსებას. ამ სასწავლებლის მაგიერ დაარსეთ ორ-კლასიანი სასწავლებელი ქალებისა ხუთი წლის კურსით ნორმალურ სასწავლებლის მსგავსი. ორი მასწავლებელი იქნება საჭირო და სამღვდელოებას ძლიერ ადვილად შეუძლია ამისთანა სასწავლებელი ყოველ მაზრაში დაიარსოს და არც ძვირად დაუჯდება. ეს სასწავლებლები ოთხ ადგილასაც რომ გახსნან ეპარქიაში მაინც ბევრი ფული არ დაუჯდებათ. ხუთი წლის განმავლობაში საკმაო სწავლას შეიძენს ქალი და ესეთი ნასწავლი საცოლო მღვდლებისთვის სოფლებში სრულებით გამოსადეგი იქნება. ბავშვებსაც მოუვლის დ აღზრდის დ ქმარის ცხოვრებითაც დიდი კმაყოფილი იქნება. სრულებით საჭირო არ არის სოფელში როიალზე დაკვრა და ფრანგული ენის სწავლა. ეპარქიალური სასწავლებლები დიდ ხარჯს თხოულობენ სამღვდელოებისაგან და ეკკლესიებიდან. თქვენში მე ვიცი ეკკლესიები ღარიბებია. კანონით მასწავლებელნი დიდ ჯამაგირებს მოითხოვენ და უარსაც ვერ ეტყვის სამღვდელოება. როცა ათავებენ ეპარქიალურ სასწავლებლებს ქალები, მღვდლის ცოლად ყოფნა კიდეც ეჩოთირებათ და თუ გაყვენ ცოლებათ სამღვდელო პირთ სოფლებში ცხოვრება აღარ სურთ და ამით მღვდლებს საქმე აქვთ გაჭირვებული თავის ცოლებისაგან. მართალია ამისთანა სასწავლებლების

---

*) ამ სიტყვებს ზოგიერთები, რომელთაც საქმის გარემოება არა იციან სხვებრ ჩამომართმევენ მაგრამ მოწმად მომყავს ის სამღვდელოების კრება რომელ კრებაზედაც პირველად მე აღვძარი კითხვა გაბრიელის სახელით ქალების სკოლის გახსნაზე და რომელი სიტყვაც მთელმა კრებამ სიხარულით მიიღო.

დ ღ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურს დამთავრებულთ უფლება არ ექმნებათ. ამბობენ, რომ უფლება უნდა მიენიჭოსთ მასწავლებლობისაო. ძლიერ შემცდარნი არიან ვინც ასე ფიქრობს. ჩვენში მასწავლებლები ბევრია ისეთაც და საქმე ის არის ეპარქიალურ სასწავლებლებს ის დანიშნულება კი არა აქვს, რომ მასწავლებელი ქალები მოამზადოს, არამედ პირველი მიზანი მათი ის არის, რომ მღვდლის საცოლოებად მოამზადონ ქალიშვილები; ისინი კი ხშირად მღვდლებს არ მიყვებიან ცოლებად. გარდაეცით თქვენ ეს ჩემი სიტყვები ყ-დ სამღვდელო გაბრიელს და ექსარხოსს პალადისაც». იმავე დღეს გარდავეცი ეს სიტყვები ექსარხოსს პალადის და ვაცნობეთ გაბრიელსაც ქუთაისში. ექსარხოსმა პალადიმ გამომიცხადა, რომ წარდგინება მას მზად აქვს და ეხლა მისი შეშლა მოუხერხებელიაო. საქმე წარდგინდა სინოდში, ვინაიდგან სამღვდელოება სასწავლებლის შესანახავად მთელს ხარჯს თვითონ კისრულობდა და ხელუხლებელ თანხასაც 50 ათას მანეთს აგროვებდა თავის ჯამაგირიდან და ამასთან არავითარ დახმარებას სინოდს არა სთხოვდა, რასაკვირველია, რა დააბრკოლებდა? ექსარხოსის წარდგინებასაც პატივი სცეს მით ნამეტურ, რომ ექსარხოსი პალადი იმ დროს სინოდში მონაწილეობას იღებდა სხდომებზე და უარის თქმა შეუძლებელი იყო. ვინაც კარგად დააკვირდება ჩვენი ქალების სასწავლებლის საქმეს და მათში განათლების მიმღებთა საქციელს არ შეიძლება მან არა სთქვას, რომ ობერ-პროკურორისაგან წარმოთქმული აზრები შესახებ საქალებო სასწავლებლისა ნამდვილ ჭეშმარიტებაა ზოგიერთ შემთხვევაში.

იმერეთის სამღვდელოება მაინც, საუბედუროდ, რაღაცა უიღბლოა. არაფერს იშურნებს თავის სასწავლებლებისათვის, მაგრამ საქმე მაინც არ მიუდის სასურველად. დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ეღირსა როგორც იქმნა სემინარიის გახსნას, მაგრამ ბოლოს ეგეც დაიხურა—რა მიზეზით, რა მოხდა?—დღესაც არ იცის სამღვდელოებამ და არ გამოუცხადებიათ. ქუთაისში ისეთი არა მომხდარა რა სემინარიაში, რომ სხვა ქუთაისის საერო სასწავლებლებშიაც არ მომხდარიყოს. რატომ დაიხურა სემინარია და სხვა სასწავლებლები კი შეუნიშნავად დარჩენ?.. თორმეტ მოციქულში ერთი იუდა გამცემელი იყო. ორას-სამას შაგირდში როგორ შეიძლება ერთი და ორი გაოხრებული ხასიათის არ იყოს, მაგრამ ყველანი არ უნდა დასჯილიყო ერთის და ორის საქციელით. უბედურობა ის არის, რომ ეს ერთი და ორიც, რომ არა სჩანან. გიმნაზიაში ორი კვირა სულის შემხუთავს სიმყრალეს აღრჩოლებდენ კლასებში, ასე რომ აღარც შაგირდებს და არც მასწავლებლებს არ შეეძლოთ კლასში დარჩენა. მაგრამ გიმნაზია არ დაუხურავსთ სრულებით. დასაჯეს დამნაშავენი და სხვანი სწავლას განაგრძობენ... გიმნაზიის მთავრობამ საჭიროდ დაინახა მოეწოდებია მშობლები მოსწავლეთა და ერთად მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები მთელი კვირაობით არჩევდენ საქმის ვითარებას და ყველანი ერთად ხელს უწყობდენ სწავლის წარმატების საქმეს. ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში კი ყ-დ შეუძლებელია, რომ მოსწავლეთა დედმამას რამე კითხონ ან სამღვდელოების კრებას, რომ სასწავლებელი რაიმე ხიფათს ასცილდეს...

არც ერთს საერო სასწავლებელზე იმდენი ფული არ იხარჯება, რამდენიც ეხარჯება ჩვენს სამღვდელოებას თავიანთ სასწავლებლებზე და განსაკუთრებით ქუთაისის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელზე. მაგრამ საქმე სასურველად არ მიდის. რასაკვირველია სამღვდელოების კრებამ ამას მკაცრი ყურადღება უნდა მიაქციოს.

წარსულ წელში სამღვდელოების კრებამ ბევრი მოფიქრების შემდეგ გარდასწყვიტა, რომ დახუროს დასაწყისი განყოფილებანი მოსამზადებელი კლასებისა და თან-და-თან ყოველ წელს დახუროს ყველა პარალელური განყოფილებანი რიცხვით 6 კლასი. დღეს გაიგო სამღვდელოებამ, რომ სასულიერო მთავრობა ურჩევს სამღვდელოებას, რომ პარალელური კლასები დასტოვოს ისევ და ნუ დახურავს. იმ დროს, როცა სემინარია დაიხურა ჩვენში რაღა მნიშვნელობა ექნება პარალელურ განყოფილებათ? ექვსი სასწავლებლიდან როგორ შეიძლება ბავშვების მიღება ერთად ერთ თფილისის სემინარიაში იმ დროს, როცა გარეშე ქართველებისა ნახევრობით იღებენ სხვებსაც? სად უნდა წავიდეს ოთხ-კლასში კურს დამთავრებული? განა სასარგებლო იქნება მღვდლისათვის ბავშვის შეყვანა სასულიერო სასწავლებელში თუ ოთხ კლას იქით მას გზა გახსნილი არ ექნება? ჭეშმარიტად დიდი გამჭრიახობა მართებს ეხლანდელი კრების სამღვდელოების დეპუტატებს რომ კარგად მოიფიქრონ სასწავლებლების საქმეზე და ისე დააყენონ საქმე, რომ მათი შვილები ოთხკლასიან სასწავლებლების მიმჩერენი სულ არ ჩამორჩენ ყველას სწავლის საქმეში.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკლესია

## თავი პირველი.

### III.

### ქონება.

(დასასრული*).

ქრისტეს ეკლესია ვერ მოითმენს ნივთიერ საშუალებათა ნაკლებობას: ღვთის-მსახურების ხარჯთა დასაფარავათ, საეკლესიო შენობათა და სამკაულთა შესანახავათ, ეკლესიის მსახურთა უზრუნველ-საყოფელათ და საეკლესიო საზოგადოების სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ—მას აუცილებლათ ნივთიერი საშუალებანი სჭირდება. იგივე სარწმუნოება, რომელიც ეკლესიაში წევრებს იზიდავს დ ეკლესიის სულიერს ორგანიზმსა ჰქმნის,—ნივთიერ საშუალებებსაც თვითონვე აძლევს საეკლესიო საზოგადოებას. უკეთუ ქრისტეს მიმდევარი ღვთის სასუფევლის გულისთვის თავის-თავს და ყოველსავე იმას უარ-ჰყოფს, რაც ამ ქვეყნად ძვირფასად მიაჩნდა,[1]) უკეთუ ქრისტიანულ ზნეობრივ სისრულის მისაღწევათ ის ყოველთვის მზად არის თვისი ქონება ღარიბებს დაურიგოს,[2]) უკეთუ ქრისტიანობრივი სიყვარული მას ჩასძახის—ყველას და უფრო მეტათ კი თვის ერთ-მორწმუნეებს ისე მოექცეს, როგორც ძმებს,—მაშინ, რა თქმა უნდა, ქრისტიანებში არასოდეს არ გაწყვებიან ისეთი პირები, რომელნიც მზად იქნებიან ეკლესიის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ თავისი ქონება გასწირონ. ქრისტიანობრივი ქველ-მოქმედება, კერძო იქნება იგი თუ საზოგადოებრივი, ქრისტეს სარწმუნოების ბუნებრივი ნაყოფია და ქრისტეს სახარების მორჩილების გამომხატველია.[3]) ამის გამო იგი ქრისტეს სარწმუნოებისაგან განუყოფელია და, სადაც ქრისტიანთა საზოგადოებაა, იქ ისიც აუცილებლათ იგულისხმება. და მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ ნებაყოფლობითი შეწირულებანი ქრისტიანობის პირველ დროებიდანვე საეკლესიო ხარჯთა დასაფარავათ ძლიერ უხვსა და დაუშრეტელს წყაროს წარმოადგენენ. თვითონ მაცხოვარი და მისი მოწაფეები, რომელთაც ქრისტეს გულისთვის მთელი თვისი ქონება უარ-ჰყვეს, მორწმუნეთა შემოწირულებით სცხოვრობდნენ.[1]) ამავე შემოწირულებით ირჩენდნენ თავს, მაცხოვრის მცნების თანახმათ, მისი მოციქულებიც, როცა სახარების ქადაგებას ავრცელებდენ.[2]) იერუსალიმის ეკლესიის მორწმუნეთა ცხოვრება წარმოგვიდგენს იმის საუცხოვო მაგალითს, თუ როგორ უნდა მოიხმარონ ქრისტეს მოწაფეებმა თვისი საკუთრება. მათ ერთი გული და ერთი გონება ჰქონდათ. მათ ისეთი რამ არა ჰქონებიათ-რა, რის მოხმარებაც მოძმეთათვის აღკრძალული ყოფილიყოს. თავისად არაფერი არ მიაჩნდათ და მზად იყვენ ყველაფერი მოყვასთა სასარგებლოთ გადაედოთ. პურის-ჭამა საერთო ჰქონდათ. ბევრი მათგანი თვის საცხოვრებელს ჰყიდდა და მოგებულ ფულს მოციქულების ფეხებთან სდებდა.[3]) თუმცა სხვა ეკლესიებს არ ემჩნევა ისეთი მტკიცე ქონებრივი ერთობა, როგორიც იერუსალიმისას, მაგრამ არამც თუ მოციქულების სიცოცხლეში, არამედ მათ შემდეგაც მთელი სამი საუკუნის განმავლობაში, მორწმუნენი სცხოვრობდენ, როგორც ერთი ოჯახის წევრები, და სულიერსა და ნივთიერს ერთობას არა სწყვეტდენ.[4]) ეკლესიის სასარგებლოთ შემოწირულებანი არ შეწყვეტილან.[5]) შემოწირულობა იმდენათ უხვი იყო, რომ მრავალგვარ საეკლესიო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ კმაროდა. მათი წყალობით ეკლესია ფართო ქველ-მოქმედების ორგანოდ გადაიქცა. იგი თვისი ხარჯით არჩენდა ქვრივ-ობლებს,[6]) უძლურებს, ყველას, ვინც სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო გაღარიბდებოდა და თვისი შრომით თავის თჩენა აღარ შეეძლო,[7]) მგზავრ-სტუმართა,[8]) იმ პირთა, რომელნიც

---

*) იხ. „მწყემსი“ № 15, 1904 წ.

1) ლუკ. 9. 23—26; 14. 26—27.

2) მათ. 11. 19—21; მარკ. 10, 21; ლუკ 12, 33—34.

3) იაკობ. 1, 27; 2, 14—18; 1 იოან. 3. 17; ებრ. 13, 1—3. 16; 2 კორ. 9, 13.

---

1) ლუკ. 8, 3; იოან. 12, 6; 13, 29.

2) მათ. 10, 9—10; ლუკ. 10, 4—8; რომ. 16, 2; 1 კორ. 4, 12; 9, 4—18; 2 კორ. 11, 7—12; 12, 13-18; გალატ. 6, 6; ფილიპ. 2, 25. 30; 4, 10—18; 2 ტიმ. 1, 16—18; 2, 4—7; ებრ. 7, 4—5.

3) საქმ. მოც. 2, 44-46; 4, 32-37; 5, 1-10 6, 1-2.

4) Іуст. Апол. I, 67; Tdrtul. Apoloq. 39; იოანე ოქროპ.: Бес. на 2 солун. 80.

5) Іуст Апол. I, 14; Tdrtul. Ad pat. I, 4,

6) იაკობ. 1, 27; 1 ტიმ. 5, 16; Іуст. Апол. I, 67; Пост. ап. 2, 25; 3, 3; 4, 1—2; Tertul. apol. 39.

7) Игн. Богон. къ Смирв. 6; Пост. ап. 2, 25; 3, 3—4; 4, 1—2; 7, 29. თუ რამდენად დიდი იყო იმ პირთა

ქრისტეს სარწმუნოების მიღების გამო ცხოვრების სალსარს ჰკარგავდენ, უფლება ალარ ჰქონდათ რაიმე ხელობით თავი ერჩინათ, მაგალ. სხვებისათვის მსახიობობა ესწავლებიათ,[1]) აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც ქრისტეს რჯულის აღსარებისთვის საპყრობილეში იყვენ ჩამწყვდეულნი ან მადნებში სამუშაოთ გაგზავნილნი, და მათს ოჯახებს,[2]) თავისივე ხარჯით დაიხსნიდა ხოლმე ტყვეებს,[3]) ჰპარხავდა ღარიბებს და გადამდებ სნეულებათა დროს გარდაცვალებულებს[4]) და სხვა.—ადგილობრივი ეკლესიის საქველმოქმედო მუშაობა მარტო ადგილობრივი საზოგადოებით არ შეიზღუდებოდა, არამედ მთელ მსოფლიო ეკლესიას შეეხებოდა. სულიერის ერთობის კავშირით შეერთებული ადგილობრივი ეკლესიები ცხოვრებაშიაც ერთმანეთს თანაუგრძნობდენ და გაჭივრებაში ნივთიერად ხელს-უმართავდენ, როგორც მაგალითათ შიმშილისა, სვრისა და ომიანობის დროს და სხვა.[5]) ცხადია, ამისთანა პირობებში ეკლესია ყოველთვის გამონახავდა საშუალებას კრებულის წევრთ დახმარებოდა,[6]) და ტაძრების ასაგებლათ დ შესამკობლათ თავისი წვლილი გადაედო.[7])

საეკლესიო შემოსავალთა წყაროს მორწმუნეთა შემოწირულებანი შეადგენდენ. ეს შემოწირულებანი ნება-ყოფლობითნი იყვენ და არა საბეგრონი. ქრისტეს ეკლესიაში ძალდატანებით არაფერი შეიძლება. ამისგამო ნივთიერი შემოწირულებანიც სარწმუნოების ნაყოფი და კეთილ-მსახურების თავისუფალი გამომხატველი უნდა იყონ და არა იძულებითი.[1]) იგინი ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდენ. ყოველ მორწმუნეს უნდა ეგრძნო, რომ, რადგანაც ის ქრისტესა და საეკლესიო წევრის სახელს ატარებს, მოვალეა საზოგადო-საეკლესიო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათაც თავისი წვლილი არ დაიშუროს. მას არ შეეძლო საზოგადო ლოცვაზე ცალიერი ხელით მისულიყო, თვისი სარწმუნოების ნაყოფთა წარუდგენელათ.[2]) ამისგამო მორწმუნეთა შემოწირულების პირველ სახეს ის ძღვენი შეადგენდა, რომელიც მათ ევხარისტიის შესასრულებლათ მიჰქონდათ ხოლმე საკურთხეველში.[3]) თავდაპირველათ ეს ძღვენი, ალბათ, სხვა-და-სხვა ნაირი იქნებოდა,—და არამც თუ მარტო ევხარისტიასთვის, არამედ საზოგადოთ პურის-ჭამისთვისაც გამოდგებოდა, რადგანაც პირველიდან ევხარისტიის შესრულება „აღაპებთან“ («вечери любви») იყო შეერთებული.[4]) მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე საუკუნეში ევხარისტიის შესრულება უკვე აღაპებისაგან განცალკევებულ იქნა.[5]) აქედან წარმოდგა შემოწირულებათა დაყოფა მათ-მათი დანიშნულების მიხედვით. საკურთხეველთან ევხარისტიის შესრულების დროს მარტო ის ნივთიერებანი მოჰქონდათ, რომელნიც ევხარისტიის შესასრულებლათ არიან საჭირონი—ღვინო, ზეთი, საკმეველი, აგრეთვე ახალი თავ-თავი და ყურძენი თავ-თავის დროზე. დანარჩენ შემოწირულებას-კი, როგორც მაგალითად: თაფლს, რძეს, მწვანილს, ფრინველებს, ცხოველებს და მაგარ სასმელებს პირ-და-პირ ეპისკოპოსსა და მღვდლებს უგზავნიდენ სახლში სარჩოდ; მათი სახელი იყო «დასაწყისი» (начатки).[6]) კრებულის წევრთა სასარგებლოთ მიდიოდა ისიც, რაც საევხარისტიო შემოწირულობას გადარჩებოდა.[7]) პირველ-ყოფილმა აღაპებმაც სახე

---

რიცხვი, რომელთაც ეკლესია ამ რიგათ მოწყალებას უჩენდა, ეს იქიდან შეგვიძლია დავინახოთ, რომ იმპერატორსს დ ე კ ი ს დროს რომში ეკლესიის ხარჯით 1500 ქვრივი და დავრდომილი რჩებოდა. Евсевiй, Церк. Ист. 6, 43.

8) 1 ტიმ. 5, 10; Iуст. Апол. I, 67; Прав. ап. 33; Пост. ап. 2, 58; 7, 28; Tert. ad. udorem. 2, 4.

1) Cypr.Epist. LXV. по р. пер. I, 21. 22.

2) Iуст. Апол. 1, 67; Пост. ап. 5, 1—3; 8, 45; Евсевiй, Церк. Ист. 4, 23; 6, 2; 7, 5; და სხვ.

3) Cupr. Episi. LX. по р. пер. I, 247; Пост. ап. 4, 9.

4) Tert. Anol. 39; Евсевiй, Церк. Ист. 7, 22.

5) საქმ. მოც. 9, 29—30; რომ. 15, 25—28; 1 კორ. 16, 1—4; 2 კორ. 8, 9; გალატ. 2, 10; Евсевiй, Церк. Ист. 4, 23; 7, 5.

6) Прав. ап. 41, 59; Пост. ап. 2, 25. 28. 34. 35. 36; და სხვ.

7) იოან. ოქროპირი: Бесѣды на Дѣян. 2, 23—24; Двсевiй, перк. Ист. 9, 4.

---

1) საქმ. მოც. 4, 34—37; 5, 4; 2 კორ. 8, 3. 8. 12. 19. 24; 9, 2. 5. 7; Iуст. Апол. 1, 67.

2) Cypr. de ozat. по. р. пер. 2, 214-215; Пост. ап. 2; 36.

3) მათ. 5, 23—24; 8, 4; მარკ. 1, 44.

4) საქმ. მოც. 2, 42. 46; 6, 1; 1 კორ. 11, 17—34,

5) Tertu] De corana militis. 3; Apol. 39; Plin. Epist. X, 97.

6) Прав. ап. 3, 4; Пост. ап. 2, 34; 7, 29; 8, 30; Oriq. in Num. nom. 11, 2; in Prowerb. c. 4; Opera t. 3, p. 8.

7) Пост. ап. 8, 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცვალეს, იგინი ახლა საზოგადო სუფრებად გადაიქცენ, რომელთაც საქველმოქმედო მიზნით მართავდენ ხოლმე კვირა-უქმე დღეებში.[1]) იგინი კრებულის წევრთაც აძლევდენ სარჩოს, რადგანაც უკანასკნელნი ჩვეულებრივ ამ სუფრებზე პურის-ჭამას ესწრებოდენ, ხოლო როცა არ ესწრებოდენ, მაშინ მათი კერძი-ულუფა შინ გაეგზავნებოდათ ხოლმე[2]). ზოგჯერ მორწმუნენი ფულსაც სწირავდენ, რომელიც ყოველ თვეში და ყოველ დროს თავისი სურვილის და შეძლების-დაგვარათ შეჰქონდა თითოეულს.[3]) ამასგარდა ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც მაგალითად შიმშილობისა, სნეულობისა და ომიანობის დროს,[4]) ტაძრის აგების დროს[5]) ან საეკლესიო ხაზინის დაცალიერების გამო—მორწმუნენი ხარჯთა დასაფარავათ საერთოდ ფულს გამოიღებდენ ხოლმე;[6]) ზოგჯერ უძრავ ქონებასაც სწირავდენ, მაგალითად: სახლებს ღვთისმსახურების გასამართავათ[7]) და მიწის ნაჭრებს ღარიბ ქრისტიანთა დასამარხავათ,—ჲ სხვ.

როცა მორწმუნეს საეკლესიო ხარჯთა დასაფარავათ შემოწირულობა შემოაქვს,—ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს ღვთის რწმენის გრძნობით, მისი დიდების სურვილით და მოყვასთადმი ღვთისმიერმე ნამცნევი სიყვარულით; ამიტომაც ამგვარი შემოწირულება „საუფლოდ“, „საღვთოდ“[8]) და ღვთისათვის სათნო მსხვერპლად იწოდება.[9]) მაგრამ ქრისტიანთა ღმერთი ადამიანებისაგან სისხლსა, სუნელებასა და კმევას არ თხოულობს და არც ნივთიერი შეწირულებანი ესაჭიროება. ქება, თხოვა და მადლობა—აი ქრისტიანული მსხვერპლი. მიბაძვა ღმრთისა სიმართლეში, კაცთა სიყვარულში და ყველაფერში, რაც ღმერთს შეშვენის,—აი რით შეიძლება ღმერთს ვაამოთ.[1]) ამიტომაც ის შეწირულებანი, რომელნიც ეკლესიაში ქრისტიანეთაგან შემოდიან, არ შეიძლება პირ-და-პირ ღვთის საკუთრებად ითვლებოდეს. იგინი საზოგადოებაში და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ შემოდიან[2]) და ქრისტიანული საზოგადოების საკუთრებად ითვლებიან. ამისგამო იგინი საეკლესიო ქონებად და საეკლესიო ხაზინად (სალაროდ) იწოდებიან.[3]) ამ ქონების, როგორც საეკლესიო საკუთრების, ხარჯვა და გამგეობა საეკლესიო საზოგადოების წინამძღვრის ანუ ეპისკოპოსის ხელშია, რომელიც მას მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით განაგებს.[4])

ამ რიგათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ქრისტიანობასთან ერთათ ქვეყანაზე განსაკუთრებული სარწმუნოებრივი საზოგადოება დაარსდა. ეს საზოგადოება სრულიად თვით-არსი და კაცობრივ საზოგადოებათაგან დამოუკიდებელია თვისი ჩამომავლობით; თვისი მიზნის მხრითაც არაფერი აქვს მათთან საერთო; ერთის რომლისამე ერის ან სახელმწიფოს საზღვრებით არ შეიზღუდება და ყველა ტომებსა და ხალხებს შეიცავს; აქვს მკვიდრი და მწყობრი, დამოკიდებული წეს-წყობილება; აქვს საკუთარი კანონი, რომელიც თვისი ჩამომავლობათა და მნიშვნელობით სახელმწიფოებრივ კანონისგან განსხვავებულია; აქვს საკუთარი ხელის-უფლება, რომელიც თვისი ჩამომავლობითა ჲ უფლებებით აგრეთვე განირჩევა სახელმწიფოებრივი ხელის-უფლებისაგან; აქვს თავისი სამართალი, რომელიც მასში შინაგან წესრიგს იცავს და აგრეთვე განსხვავებული და დამოუკიდებელია სახელმწიფოებრივი სამართლისაგან თვისი ძალითა და კომპეტენციით; უკანასკნელ, მას აქვს ნივთიერი საშუალებანიც იმ სხვა-და-სხვაგვარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რომელნიც აუცილებლათ შეერთებული არიან ამ-ქვეყნიურ არსებობასთან. ერთი სიტყვით, ქრისტიანობრივი ეკლესია წარმოადგენს ქვეყნისათვის მანამდე სრულიად უცნობს და ყოველი მხრით დამოუკიდებელს საზოგადოებას.

ს. გორგაძე.

---

1) Пост. ап. 5, 20; Іуст. Апол. I, 67; Tert. Apoloq. 39.

2) Игнат. Бог. къ Смирн. 8; Пост. ап. 2, 28.

3) მარკ. 7, 41—44; ლუკ. 21, 1—4; Іуст. Апол. 76, Прав. ап. 38. 40. 41; Пост. ап. 2, 36; 3, 3—4; Tertul. Apol. 39 და სხვ.

4) საქმ. მოც. 11, 29—30; რომ. 15, 25—28; 1 კორ. 16, 1—4; 2 კორ. 8; 9; გალატ. 2, 10; Евсевій Церк. Ист. 4, 23; 7, 5; и др.

5) Евсевій, Церк. ист. 9, 4.

6) Пост. ац. 4, 8.

7) 1 კორ. 16, 19; რომ. 16, 4; კოლას 4, 15.— Красносельцевъ: О древней христіанской архитектурѣ. см. Правосл. собесѣдникъ 1874 г. октябрь стр. 111—123.

8) Прав. ап 38. 40.

9) ფილიპ. 4, 18.

---

1) Іустинъ. Апол. 1, 10. 13; М. Феликсъ. Октавій 32; Tertul. De orat. 28.

2) Іуст. Апол. 1, 13. 14; Tertul. Apol. 39; Пост. ап. 3, 4,

3) Прав. ап. 38. 40. 41; Пост. ап. 2, 25—36; 4, 8: Златоустъ: Бес. на Дѣян. 1, 217—219; 2, 273—276; на 1 Кор. 1, 390—392.

4) Прав. ап. 38. 40. 41. 59; Пост. ап. 2, 25-36; 3. 3-4; 4, 2. 6-10; 7, 29; 8, 30-31: Cypr. Epist. 4, 5, 6; Oriq. in Matth. hom. 11, 9. 15; 16, 22.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ს ა მ ძ ი მ ა რ ი.*)

თუმცა შემთხვევას ვაძლევ „ცნობის ფურცლის“ მოღვაწეებს, რომ ერთხელ კიდევ გამოიყვანონ კარიკატურაში ჩემი ჩამორჩენილობა და მიკიჟინონ ჩემი სამშობლოს სიძველეთა მიმდევრობა, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და ძველებური «ნუ დააგდებ ძველსა გზასა ნურცა ძველსა მეგობარსა» მირჩევნია შემოვსძახო, ვიდრე აწმყოს მათებური მაყრული ვუმღერო!

არ დავფიცავ, ბევრი რამ მამა-პაპათა ნაანდერძევი, დღეს დაკარგულ-დავიწყებული, მიგლოვია, მაგრამ არც ერთი ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკუღმართობა: იმ ქვეყანაში, სადაც სარწმუნოებისა და მასთან მჭიდროდ შეერთებულ ეროვნობის გულისათვის მოწამეთა სისხლით «აღდგომის კვერცხივით» შეღებილია საქართველოს მთა და ველი, ახალმა დრომ გამოიწვია ისკარიოტელთა გუნდი, «შიგნიდან ციხის გამტეხი» რომელიც შეურაცხყოფს მამა-პაპათა თვით საფლავსაც კი!

ბევრი აღარა დაგვრჩენია რა ძველთაგან ეროვნული „წმინდა წმინდათაგანი“!.. ერთი-და გელათი იყო მის საარხეოლოგო ნაშთებით და იმასაც დასცემიან თავს ავაზაკები და შეუბღალავთ!.. შეიარაღებული რაზმი შესევია ლოცვის დროს წმინდა ტაძარს. გარეთ მეთვალყურეები დამდგარან, შიგნით მცარცველები შეჭრილან, გაუძარცვავთ ეკკლესია, თან გაუყოლებიათ არხეოლოგიური ნაშთები: დავით აღმაშენებლის ბეჭედი, ოქროს და ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და მღვდელ-მთავრებთა ოქრო-ჭედილ შესამოსლები.**) აქ მარტო ფულის შოვნისა და შეძენის ანგარიშით არ უნდა იყოს. ის ნივთები, ის ბეჭედ-ქოშები, შესამოსლები ხომ სულ უნდა ტყვილა-უბრალოდ გადააგდონ და რა სარგებლობა რა აზრია? მხოლოდ ცარიელი გულის მოფხანვა იმათი, რომელთაც საქართველო წარსულშიაც კი ეზიზღებოდათ!.. არა მჯერა, რომ ეს განზრახული და მოფიქრებული ბოროტება მისთანებს ჩაედინოსთ, რომელთა ძარღვებში, ერთი წვეთიც არის, კიდევ დარჩენილა ქართული სისხლი. და თუ ვსცდები და მართლაც ჩვენი მიწის შვილების ჩანადენია ეს სათცარი საქმე, მაშინ კი მშვიდობით მომავალო! რა არის ის თავზე ხელ-აღებული ერი, რომელსაც რჯული აღარა აქვს, გინდ კერპთ მსახურიც იყოს, თუ არ მხოლოდ კუჭის მიმდევარ-მაძიებელი კორდი დორთა?.. მოდი და ნუ შეძრწუნდებიან წინაპართა ძვლები სამარეში!

თურმე ბევრი დრო არ დომებია ხალხის გადარჯულებას, გაუკუღმართებას და გაპირუტყვებას!.. თორემ ვინ ეს ამბავი და ვინ საქართველოს მიწის შვილები? ჩვენი ძველები და მათის წამხედურობით სხვა რჯულის ტომებიც, საქართველოს მიწა-წყალზე დასახლებულნი, ვერ გაბედავდენ, რომ საყდრიდან, გინდ მარტო ძველი ნანგრევიდა ყოფილიყო, გალავნიდანაც კი გამოეტანათ და წაეღოთ, გინდ თვალი და მარგალიტიც ყოფილიყო. ისე დიდი იყო მათი სასოება და პატივის ცემა... მახ-აბაზმა, რომ რაჭაში, ბრავალძლის მონასტრის (მრავალ-ძალი) ძვირფას თვლებით შეჭედილი ხმალი შემოსწირა, ის საუნჯე, ორას-სამასის წლის განმავლობაში, აქვე გარეთ ერთ ნანგრევში ეყუდა და ვერავინ ხელს ვერ ახლებდა ხატის საკუთრებას. იმ შემოსაწირავმა ჩვენ დრომდი მოატან და მე ჩემ პატარაობაში კიდეც მინახავს ის ძვირფასი ნივთი... დღეს კი ბარძიმ-ფეშხუმებსაც აღარ აყენებენ საკურთხეველში. სტეხენ საყდრებს და ხატს და ჯვარს ატყავებენ და ზარებიც ქურდების დასაფთხობად ირეკება ჩვენ ეკლესიებზე და არა სასოების გამოსაწვევად. ვისი ბრალია?—ვიცით, მაგრამ, თევზისა არ იყოს, «პირი წყლითა გვაქვს სავსე». პირველად რომ გელათიდან სახარება გაიტანეს და ძველი ოქრო-ჭედილ შესამოსლები ვერცხლად გადაადნეს, დასავლეთი საქართველო ფეხზე დადგა, სამგლოვიარო ჩაიცვა და ფეხშიშველა მიემურებოდა გელათისკენ... მაგრამ დროს თავისი მოაქვს და ადამიანიც ყველაფერს ეჩვევა!..

ახალმა ვითომ და სიბრძნემ, ვითომ და ძველ უგუნურებას უკიჟინა და ჩვენი ეკკლესიებიდან მამა-პაპათა შენაწირი ნივთები გამოიტანა იმ განზრახვით, რომ ფულად ექცია და იმ ფულითაც ძველი ტაძრები, ზედ ძველებურ წარწერებით, მათებურად გადაეხალისებია. ჩვენთვის დღეს აღარც ეროვნება ქრისტიანულს ელფერებით. მივჭყვებით ვითომ მოციქულების კვალს, მაგრამ რომლისას - იუდა გამცემლისას თუ დანაშთენებისას—იმას კი ვეღარ ვარჩევთ. მივისწრაფვით, მარგამ სავანეში გასავანებლად, თუ უფსკრულში ჩასავარდნელად,—არ დავეძებთ და გამფრთხილებელიც არ ვინა გვყავს. თანამედროვე ქართველის გული კუჭმა ჩაყლაპა. და არ გვმართებს მოთქმა-ტირილი?

მაგრამ, მკვდრებს თუ მიუტირებთ და მიუსამძიმრებთ, თვარა ცოცხლებს აღარა ეყურება რა!..

---

*) ვბეჭდავთ ამ სტატიას ჩვენს გამოცემაში, რომ ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს გელათის გაძარცვის გამო გამოთქმული აზრები ჩვენი მწერლის აკაკისა, რომლის აზრი ასე აშკარად განსხვავდება სხვა უმწიფარ და საქმის უვიც მწერალთა აზრებისაგან. შემდეგში როგორც ამ სტატიისა აგრეთვე სხვა სტატიების შესახებ ჩვენს აზრს გამოვსთქვამთ.

რედაქტორი.

**) დაკარგულ ნივთების სია იხ. „ივერია“ № 176.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვის მიუტირო აწ ძველებურა,
რომ ჩემი ცეცხლი გაუზიარო?
და ერთად მასთან უბე-კალთაში
სამგლოვიარო ცრემლები ვღვარო?

—

თუ არ შენს აჩრდილს და შენსა სახეს,
კალამ-ძლიერო და მადლიანო;
ქართველად ზრდილო, მირონ-ცხებულო,
სულ-მნათო, ვახტანგ ორბელიანო?!

—

ძველი დიდების საჩინო ნაშთნი,
შენი გელათი, დიდი ტაძარი
სადაცა ბრწყინავს სული დავითის
და თამარისა, ვითა ლამპარი,

—

ვის სიწმიდესაც, ბარბაროსთა დროს
მტერი ურწმუნოც ვერ შეჰხებია, —
ის საეროვნო «წმიდა-წმიდათა»
დღეს თვით ქართველსვე დაჰვიწყებია.

—

და შეუხია, როგორც იუდას
ამბორის ყოფით, გამცემი ხელი:
გაუტაცია საისტორიო
საშვილი-შვილო ნაშთები ძველი!

—

ის წმიდა ქოში, რომელსაც თამარ
ლოცვა-ვედრების დროს გაიხდიდა
ძ ფეხ შიშველა, სამშობლოს მსხვერპლად,
წმინდა ტაძარში წმიდა ცრემლს ჰღვრიდა,

—

და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებლს რომ თითზე ეცვა
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ
საქრისტიანო რითაც დაიცვა,

—

სხვა სიმდიდრესთან, ბოროტ განმძრა-
გაუტაცია ისინიც ერთად. [ხველს
აღარ უცვნია გადარჯულებულს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად!..

—

ვეღარა ვხედავ იმას, მგოსანო,
რაც რომ გელათზე შენ დაგვიწერე!..
და ნეტავი შენ, რომ შენც ჩემსავით
ამ წამხდარ დროის აღარ ხარ დამსწრე!!

(„ივერიი“).

## ხოლერა

(დასასრული*).

ხშირად ავადმყოფობა იწყება უბრალო მუცლის ფაღარათობით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩნდება ხოლეროზის დროს და განავალში მიკროსკოპით ყოველთვის შეგიძლიანთ ხოლერის ტიპიური სოკო ან ბაქტერია ნახოთ. ამისთანა ფაღარათობის მიზეზად მუდამ ასახელებენ ხოლმე გაციებას, ფსიხიურ აღელვებას ანუ მსუნაგობას. ავადმყოფს აფაღარათებს დღე-და-ღამეში 3—8-ჯერ, ძლიერ თხლად და უტკივნეულოდ. მუცლის გვრემა ხშირი მოვლენაა, რადგან სხეული ჰკარგავს ბევრ წყალს, ადამიანი სუსტდება; შარდის და ოფლის დენა სწყდება ამავე მიზეზით. თუ ავადმყოფობამ რამდენსამე დღეს გასტანა, შეიძლება ავადმყოფს გულის-ზიდვა და გულის რევაც-კი დაემართოს. უკეთუ ავადმყოფობას უარესობა არ დაეტყო რამდენისამე დღის ან ერთი კვირის განმავლობაში, ადამიანი რჩება სამუდამოდ. ბევრ შემთხვევაში ავადმყოფები არც-კი წვებიან ლოგინში, თვის ჩვეულებრივ საქმესაც უძღვებიან, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მაგისთანა ავადმყოფებს შეუძლიანთ სენი გაავრცელონ; მაშასადამე ჩვენი მოვალეობაა, მივიღოთ ყოველი ღონისძიება, რომ სხვები არ გახდნენ ავად. რა გვაკლია ეს ღონისძიება, ამაზე ქვეით გვექნება ბაასი. ბევრ შემთხვევაში-კი ასე სასურველად არა თავდება უბრალო ხოლერიანი ავადმყოფობა, არამედ მიიღებს უფრო მძიმე ხასიათს, რომელსაც მეცნიერება ეძახის მუცელას.**) ამ კლინიკურ ფორმის დამახასიათებელია საშინელი, მძიმე გულის-რევა და უკანა ტანიდან ხშირი საქმობა. პირიდან ამონაღებში პირველ ხანს თქვენ ნახავთ მხოლოდ საჭმლის სხვა-და-სხვა ნაწილს; შემდეგ მას მიემატება ნაღველი და ბოლოს კი პირიდან ამონაღები არაფრით არ განირჩევა უკანა ტანიდან განავლისაგან. საერთოდ როგორც პირიდან

*) იხ. „მწყემსი“ № 15, 1904 წ.

**) ვინაიდან ჩვენში მუცელას ეძახიან ნაწლევების ისეთ ავადმყოფობას, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ხოლერასთან, უნდა გ,ნვმარტო, რომ ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ კლინიკური სურათი, რომელიც თითქმის ერთნაირია როგორც მაშინ, როცა მუცელა გამოწვეულია ხოლერის სოკოთი, ისე მაშინ, როცა მუცელის მიზეზი მწვავე კატარია, სხვა მიზეზებით გამოწვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამონაღები, ისე უკანა ტანიდან განავალი ჰგავს კარგათ მოხარშულ ბრინჯის წვენს და მეტად აშმორებული სუნი აქვს. ავადმყოფის გამობრუნება ხდება ან ერთისა ან რამდენისამე დღის შემდეგ ნელ-ნელა, ან მუცელა უფრო უარესდება და იწყება ნამდვილი კლინიკური სურათი ხოლერისა.

ამისთანა ხოლერის სურათი ბევრჯელ უცბად, თავის-თავადაც იწყება. აქაც გულის-რევა დ̃ მუცლის ფაღარათობა ითვლება ხოლერის ტიპიურ ნიშნებად და იგივე ხასიათი აქვთ, რაც ზემოდ იყო აწერილი, გულის-რევა ხდება არა ჩვეულებრივის ვიადვილით და ბლომად. უნდა შევნიშნოთ, რომ პირიდან ამონაღები ყოველთვის ბევრით უფრო მეტია, ვიდრე მიღებული საჭმელ-სასმელი და, რასაკვირველია, ეს ზედმეტი აკლდება სისხლსა. ხანდისხან გულის-რევის შემდეგ ავადმყოფს ეწყება მძიმე სლოკინი. ფაღარათობა ხშირია და თხელი წყალივით, თანაც უმტკივნეულო; მაგრამ სხეული ბევრს წყალსა ჰკარგავს და ადამიანი მეტად სუსტდება. ამ მიზეზითვე ავადმყოფს ეკარგება სრულებით საჭმლის მადა და მოსდის აუტანელი წყურვილი; თუ დააკმაყოფილეთ დ̃ დაალევინეთ წყალი, აუვარდება კვლავ საშინელი გულის არევა; ეს კარგად უნდა ახსოვდეს ყველას, რომ ავადმყოფის სურვილი არ დააკმაყოფილოს; მხოლოდ გულის-რევის და სლოკინის დროს შეიძლება პატარ-პატარა ნაჭერი ყინულისა აყლაპოთ. რადგან გულის-რევისა და ფაღარათის გამო სისხლი ბევრ წყალსა ჰკარგავს, ამ გარემოებას მოჰყვება სხვა-და-სხვა უსიამოვნო შედეგი: პირველ ხანს აჩქარებული გულის მუშაობა თანდათან სუსტდება; ხშირად რამდენისამე საათის შემდეგ მაჯა ეკარგება იმის გამო, რომ გულს ძალა აღარა აქვს შორს განდევნოს სისხლი; შედეგად იმას ის მოჰყვება, რომ კანი და კიდურები სრულებით უცივდება ავადმყოფს; კანის სიცხე 35° იმ დროს, როდესაც უკანა ტანში სიცხე 39° აღის. სიცხისაგან დაცრილი კანი და კიდურები ლურჯ ფერს იღებენ. არც შარდის, არც ოფლის დენა არ არსებობს; კანი შრება, ადვილად იკრიბება ნაოჭები; თუმცა ავადმყოფს გონება არ აქვს დაკარგული, მაგრამ მიჩლუნგებული კი აქვს. ჩაღრმავებულ თვალებს სრულებით არ ხუჭავს; თვალის კაკლები ზევით უბრუნდება, ცხვირი უწვრილდება და გრძელდება. გარდა ამისა ხშირად ავადმყოფებს ეწყებათ ფეხების, ხელების და სხვა ასოების კრუნჩხვა, რაც ავადმყოფისთვის ძნელი ასატანია, რადგან იგი ჰგრძნობს ძლიერ მტკივნეულობას. დაღალული, ყრუ და ხრინწიანი მაღალი ხმა აქვს; არა ჩვეულებრივი, აჩქარებული სუნთქვა. ადადმყოფი მალე ესალმება წუთი-სოფელს, რადგან მოწამლული სხეული სისუსტისაგან ვეღარ უძლებს ავადმყოფობის ატანას. იშვიათ შემთხვევაში-კი შეიძლება ავადმყოფი გამობრუნდეს და ერთი ან ორი კვირის შემდეგ სრულებით მორჩეს, თუ არ დაემართა საოფლე (ТИФЪ) ან ნაწლევების ერთგვარი ანთება, ან ფილტვების ანთება ანუ კიდევ ჭაჭის ანთება, რაც ხშირი მოსალოდნელია ხოლერის შემდეგ.

ახლა, როდესაც უკვე გავიცანით ხოლერა, დაგვრჩენია აღვნიშნოთ ზომები მის გავრცელების წინააღმდეგ და აგრეთვე მოკლეთ განვმარტოთ ის საშუალებანი, რომელიც საჭიროა ხოლერით ავადმყოფობის მოსარჩენად. ერთი ჯგუფი ზომებისა იქნება პროფილაქტიური;*) სხვა ესრედ წოდებული ტერაპიული ზომებია უკვე გაჩენილ ავადმყოფობის განსაკურნავად. რადგან ხოლერა ისეთი გადამდები სენია, რომელიც სისწრაფით მოედება ხოლმე მთელს მხარეს და ძალიან მალე გადადის ერთი მხრიდან მეორე, ხანდისხან, ფრიად დაშორებულ მხარეს, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში დაინტერესებულია როგორც მთელი სახელმწიფოები, ისე ყოველ ადმინისტრატიული თუ საზოგადოებრივი დაწესებულება და, რასაკვირველია, კერძო პირნიც. თუ სადმე ხოლერა გაჩნდა, როგორც, მაგალითად, დღეს სპარსეთშია, მეზობელი სახელმწიფო, ამ შემთხვევაში რუსეთი, ვალდებულია საზღვრებზე დააწესოს კარანტინი, რომ არავის არ შეეძლოს აუქციოს გვერდი კარანტინს და გადმოვიდეს იქიდან, სადაც უკვე ხოლერა მძვინვარებს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ არც ვინმე ხოლერით ავადმყოფი გადმოვიდეს და არც გადმოიტანოს ნივთი, რომელიც იქნება ავადმყოფს ეკუთვნოდა. ყველა მგზავრს აჩერებენ კარანტინზე 8—10 დღეს; თუ ამ დროს განმავლობაში ავადმყოფი არავინ აღმოჩნდა, თავისუფლად უშვებენ; თუ გახდა ვინმე ხოლერით ავად, სტოვებენ ადგილობრივ და უვლიან. ნივთებსა სწმენდავენ იმ საშუალებით, რა საშუალებაც დღეს მეცნიერებისაგან არის ცნობილი.

---

*) პროფილაქტიური ზომა ის ზომაა, რომელიც მიმართულია რომელიმე სენის გაჩენის წინააღმდეგ.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში უკვე გაჩნდა სადმე ხოლერა, სახელმწიფო ხმარობს ზომებს, რომ იმ ადგილიდან არავინ გავიდეს და ავადმყოფობა არ გაიტანოს. ამისთვის ხოლერით დაავადმყოფებულ ადგილებს შემოარტყმენ ხოლმე სადარაჯო რაზმს.

საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაცია მოვალეა მიიღოს ყოველი ზომა, რომ როგორც დაბები, ისე სოფლები სანიტარულად კარგ მდგომარეობაში იყვნენ. იქ კი, სადაც ქალაქის თვითმართველობაა, ყოველივე მოვალეობა ამ თვით-მართველობას ედება. რადგან დიდ ქალაქებში დღევანდელ ეკონომიურ და სოციალურ პირობების-დაგვარად იყრის თავს ბევრი მუშა ხალხი, რომელსაც არც შეძლება და არც შეგნება არა აქვს სუფთად ცხოვრებისა, თვით-მმართველობის მოვალეობანი მეტად რთულია და მათი ასრულება მოითხოვს ბევრს ენერგიას. ქალაქის თვით-მმართველობა მოვალეა მოიწვიოს მთელი რაზმი ექიმებისა და საინტარებისა, რომ მათის დახმარებით გაასუფთაოს ქალაქის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ის ნაწილები, სადაც უმწეო, ღარიბი ხალხი სცხოვრობს. ქალაქის გასუფთავების შემდეგაც სასანიტარო რაზმი მოვალეა თვალ-ყური ადევნოს, რომ შემდეგშიაც იგივე სისუფთავე იყოს. ქალაქის თვით-მმართველობა მოვალეა გამოიკვლიოს, რამდენად ვარგისია წყალი, რომელსაც სასმელად ჰხმარობენ; მოვალეა აგრეთვე დარწმუნდეს, რომ მილები, რომლითაც ქალაქის უსუფთაობა ქალაქ გარედ მიდის, თავის დანიშნულებას კარგად უძღვებიან. თვით-მმართველობა მოვალეა გააშენოს ცალკე. ქალაქ გარედ, დროებით საავადმყოფო, სადაც მხოლოდ ხოლერით ავადმყოფი უნდა მიიღებოდეს, და დააყენოს საქმე მეცნიერების მოთხოვნილების-დაგვარადა. იგივე თვით-მართველობა მოვალეა იქონიოს სადეზინფექციო კამერები, რომ საჭიროების უმალ დაკმაყოფილებულ იქმნას სურვილი ხალხის და ნივთების გასუფთავებისა. საზოგადოების შეგნებულ ნაწილის მოვალეობაა გაზეთით, თუ სახალხო კითხვების გამართვით ან სხვა რამ გზით გაავრცელოს ხალხში შემეცნება, რომ ხოლერა თუმცა საშიში ჭირია, მაგრამ ბრძოლა შესაძლებელია, თუ-კი ეს ბრძოლა შეგნებული იქნება და დამყარებული მეცნიერების ცოდნაზე.

რა ზომებია საჭირო მაშინ, როდესაც ხოლერა უკვე გაჩნდა? შემდეგი დარიგებანი სავალდებულოა ყველასათვის: 1. სასმელად იხმარება მხოლოდ გადადუღებული წყალი; 2. ნუ სვამთ ტუტე წყლებს, როგორც მაგალ. ბორჯომის წყალი, ზელტერის წყალი, ვიში და სხვა, რადგან ტუტე წყლებში ხოლერის სოკო საუკეთესოდ მრავლობს; 3. ჯანმრთელ ადამიანს უშიშრად შეუძლიაენ უყუროს ხოლერას, რადგან იმისი ჯანმრთელობა თავმდებია, რომ ხოლერა ვერას უზამს; ამიტომ საჭიროა ნორმალური ცხოვრება: თავის დროზე ძილი, ჩვეულებრივი საჭმელ-სასმელი; გადამეტება არაფელში არ ვარგა; 4. საჭიროა ჩვეულებრივი სისუფთავე ხელებისა, რადგან ჭამის დროს, თუ ხელი უსუფთაო იქმნა, ადვილად გადავყლაპავთ ხოლერის სოკოს.

თუ სახლში დაგიხვდა ვინმე ავად, ასე უნდა მოიქცეთ: ავადმყოფი საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთ მარტო იმიტომ კი არა, რომ დანარჩენები არ გახდნენ ავად, არამედ იმიტომაც, რომ შინ ავადმყოფს ისე ვერ მოუვლიან, როგორც საავადმყოფოში. დაუყოვნებლივ მიიწვიეთ ქალაქის დეზინფექტორები, რომ მთელს სახლს და ნივთებს დეზინფექცია უყონ. იმ შემთხვევაში, როცა რამე მიზეზით ავადმყოფის სახლიდან გაყვანა მოუხერხებელია, ავადმყოფი უნდა მოათავსოთ საუკეთესო ოთახში, რომელიც სრულებით განცალკევებული უნდა იყოს, და შიგ შედიოდეს მხოლოდ ავადმყოფის მომვლელი. შესვლის წინ მომვლელმა ხალათი ან ძველი ტანისამოსი უნდა ჩაიცვას, რომელსაც გაიხდის გამოსვლისთანავე. სანამ კარგად ხელებს არ დაიბანს, ნურაფერს ნუ მიეკარება.

ავადმყოფს უნდა მოევლოს ასე: ყოველ 2—3 საათში ასვით 25 წვეთი წყალით ბოტკინის ანუ ინეზემცევის წვეთები. მაგნაირადვე შეგიძლიანთ ასვათ ჰოფმანის წვეთები. თუ შეატყოთ, რომ კიდურები უცივდება და ულურჯდება, გაუკეთეთ ცხელი ვანა, ან კიდურები დაუზილეთ მაუდით. სხვაფერი მოვლა ექიმის საქმეა, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოთ. გახსოვდეთ, რომ უკან ტანიდან განავალი და პირიდან ამონაღები ერთ ჭურჭელში უნდა იკრიბებოდეს; ზედ დაასხით კირის რძე*) ანუ 5% კარბოლის სიმჟავე და სადმე შორს მიწაში ჩაფალით. ავადმყოფი რომ მორჩება, უკეთესია სახლს დეზინფექცია გაუკეთდეს, ნივთები კი დაიწვას. თუ ნივთების დაწვა არ შეიძლება, ძალიან კარგად უნდა გასუფთავდეს. („ცნ. ფურც.“)

*) კირის რძე კეთდება ასე: აიღეთ ერთი ნაწილი წყალ-დაუსხმელი კირი და გახსენით 5 ნაწილ წყალში.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

*** უწმიდესმა სინოდმა განმარტა, რომ 11 აგვისტოს გამოცხადებული მანიფესტი არ ეხება იმ ბოროტ-მოქმედებათა და დანაშაულობათ, რომელთა გამო სასჯელისა, ჯარიმის, ან საეკლესიო მონანიე-ბის გადაწყვეტა დამოკიდებულია სასულიერო მთავ-რობისაგან, ან ეხება იმ ფულის გადახდას, რომელიც შეადგენს სხვა-და-სხვა სასულიერო დაწესებულებათა გარდასახადსა და შემოსავალს და აგრეთვე იმ მეტად დახარჯულ, ზარალად ჩათვლილ და დაკარგულ ფუ-ლის პატიებას, რომელიც სასულიერო მთავრობის განკარგულებაშია და სახელმწიფო კონტროლის რევიზიას არ ექვემდებარება.

*** 14 აგვისტოს გენ. კუროკის არმიამ ლიაო-იანის აღმოსავლეთით, 20 ვერსტის მანძილზე, ანპინი დაიჭირა; რუსებმა ლიაოიანისაკენ დაიხიეს. რუსის ჯარში ყველაზე უკან დაღესტნის პოლკის რაზმი (კავკასიელები) იდგა. კავკასიელებმა ხმლები იშიშ-ვლეს და გაცოფებულები ეცნენ იაპონელებს. იაპო-ნელებმა ჯერ უკან დაიწიეს, მერე საშინელი თოფის სროლა ასტეხეს და მეტად ბევრი კავკასიელი გამო-ასალმა წუთისოფელს; რაზმის უფროსს პოლკოვნიკს ხარანოვს ოთხი ტყვია მოახვედრეს: ორი მკერდში ერთი თავში, ერთი ფეხში.

*** გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობას 20 აგვისტოს: «გუშინ დაბინდდა თუ არა, იაპონელებმა იერიში მიიტანეს სიკვანტუნთან მდებარე პოზიციებზე. ცხარე ბრძოლის შემდეგ იერიში უკუგდებულ იქმნა. ღამე იაპონელებმა იერიში განიმეორეს და გაიმარჯვეს; იმათ ერთი ჩვენი პოლკი სახტუნისაკენ დასწიეს. რადგან ამ პოლკმა უკან დაიწია, იძულებული გავხდით უკან დაგვეწია და პოზიციები დაგვეცალა. დილით ჩვენი ჯარი თან-და-თან წინ წავიდა, რომ ისევ დაეჭირა სიკვანტუნთან პოზიციები. ამ დღეს გათე-ნებისას მე გავემართე კუროკის ჯარის წინააღმდეგ. შუადღის 12 საათისთვის ჩვენის კორპუსების მოწი-ნავე რაზმები ერთმანეთს გაუთანასწორდნენ. ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა იმ პოზიციებს, რომლებიც ჩვენ ღამე იაპონელება წაგვართვეს, და დაიწყო ქვეითა ჯარმა წინსვლა. მთელი ღამე ია-პონელები ძლიერად უშენდნენ ყუმბარებს ლიაოიანის შუა პოზიციებს, ქალაქს და რკინის გზის სადგურს. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა. ეს არის ეხლა მივიღე დეპეშა ლიაოიანის მეციხოვნეთა უფროსისა. დეპეშა გამოგზავნილია დილის 10 საათსა და 35 წუთზე. მეციხოვნეთა უფროსი მატყობინებს, რომ იაპონე-ლებმა იერიში მოიტანეს იმ სიმაგრეზე, რომელიც პოზიციის შუა გულშია; იაპონელები მოვიგერიეთ დიდის ზარალით! სიმაგრეში ჩვენ მოგვიკლეს 6 კაცი. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად ვაუ-წყებ თქვენს იმპერატორებით უმაღლესობას».

*** გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის იმპერატორებით უდიდებულესობას 21 აგვისტოს. «20 აგვისტოს ღამე იერიშით მოსულმა იაპონელე-ბმა აიღეს იმ პოზიციების უმრავლესობა, რომელიც ჩვენ დავიჭირეთ. ამ პოზიციებზე მყოფმა ჩვენმა ჯარმა დაიწია უკან, სოფლებს ჯანსტუნ-შიჩენზენს-კენ. ეს ახალი პოზიციები ლიაოიანის და სივანტუ-ნის შუაა. ამავე ღამეს ციმბირის პირველმა კორპუსმა რამდენიმე ვერსით უკან დაიწია და დასავლეთის მხარეს წავიდა. 5 დღის განმავლობაში ამ კორპუსს დიდი ზარალი მოუვიდა დ ამას გარდა მტრის კარგა ბლომა ჯარმა გზის მოჭრაც დაუპირა. ამ გარემოე-ბაში ჩავარდნილმა ბრძანება გავეც, ჩვენ ჯარს ლიაოიანი დაეცალა დ ჩრდილოეთისაკენ წასულიყო".

*** ამბობენ, გენერალმა კუროპატკინმა გამო-უცხადა თავის შტაბს, რომ მიზანს მივახწიეთ და იაპონელების ჩრდილოეთისკენ გამოლაშქრება შე-ვაჩერეთ, მაგრამ ამ ჟამად უსათუოდ საჭიროა მუკ-დენამდის მივიდეთო.

*** იაპონიის საელჩომ შემდეგი დეპეშა მიიღო ტოკიოდან: «ოიამა იუწყება, რომ რუსის ჯარი, რომელიც ჩვენის მარცხენა ფრთეს და ცენტრის პირდაპირ იდგა, 20 აგვისტოსაც უკან მიიწევდა ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირზე. უკან არ წასულა მხო-ლოდ რუსის ის ჯარი, რომელსაც ლიაოიანის სამ-ხრეთიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ გამწკრივებუ-ლი სიმაგრეები ეჭირა და აგრეთვე ის სიმაღლე, რომელიც ოუშანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. ჩვენი ჯარი განაგრძობს წინ სვლას. ჩვენმა პირველმა არმიამ 20 აგვისტოს, დილით, დაიჭირა ზეიანტანუს და დასავლეთით მდებარე სი-მაღლეების ნაწილი».

*** ჰფიქრობენ, ოიამას მთავარმა ჯარმა, რო-მელიც მდინარე ტაიძიხეს სამხრეთით იყო, დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით მოახერხა მდინარეზე გადასვლა. კუროკიმ დაიჭირა ხეიანტაის სიმაღლეების ნაწილი; იგი ჰფიქრობს, დღეს დაიჭიროს რკინის გზა. რუსები, როგორც ეტყობა, თავს იყრიან ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროების მახლობლად.

*** იმიერ.ბაიკალის ყაზახთა ცალკე ბრიგადის უფროსს, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორს პავლე მიშჩენკოს ებოძა ბრილიანტებით მორთული ოქროს ხმალი უსენდიუსთან 10, 13 და 14 ივლისს იაპონელთა მოგერებისათვის. ხმალს აწერია „მამაცობისთვის“.

*** 22 აგვისტოს, დილის 9 საათზე, იაპონელებმა დაიჭირეს ლიაოიანი.

*** ოიამა იუწყება: «22 აგვისტოს, შუადღისას, რუსებმა დასწვეს საწყობები ლიაოიანის სადგურის მახლობლად. კუროკიმ ჯარის ნაწილი საცუაგოში დასტოვა მარჯვენა ფრთეს დასაცველად, ხოლო თვითონ მედგრად გაჰქანდა დასავლეთისაკენ, რომ რკინის გზასთან მისულიყო და ლიაოანისათვის შე-შემოევლო. მარცხენა და ცენტრის არმიები ჯერ კიდევ ლიაოიანის სამხრეთიდან და დასავლეთიდან მიდიან რუსების წინააღმდეგ“.

*** 1 საათზე ოიამა დეპეშით იუწყება: „22 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელმაც მთელ ღამეს გასტანა, სრულიად ავიღეთ ლიაოიანი. ჩვენი ზარალი უთუდ დიდია“.

*** სოფიის ტაძარში გადახდილ წირვის შემდეგ სამღვდელოება ლიტანიით გაემართა სოფიის მოედანზე, სადაც ჩიგირინის ეპისკოპოსმა პლატონმა პარაკლისი გადაიხადა გამარჯვების მონიჭებისათვის.

*** 25, 26, 27 და 28 ამა აგვისტოს-თვის რიცხვებში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება არის დანიშნული ქ. ქუთაისში. სამღვდელოების კრება არის დანიშნული იმის გამო, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პარალელური განყოფილება არ დაიხუროს. სამღვდელოების დეპუტატებმა წინა კრებაზე დახურა ეს განყოფილებანი, რადგან დიდი ფული იხარჯებოდა ამ განყოფილებებზე და სარგებლობა არა იყო მათი შვილებისათვის.

*** ჩიფუდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: რუსებს ამ ჟამად პორტ-არტურში მხოლოდ ოქროს გორა („ზოლოტაია გორა“), თეთრი მარმალილოს გორა და ლიაოტეშანი-ღა უჭირავთ ხელში. ამ უმთავრეს ფორტებს გარდა, რუსებს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგარი ფორტი უჭირავთ, მაგრამ რადგან ამ ფორტებს იაპონელების არტილერია მუდამ ზარბაზანს ესვრის, ჰფიქრობენ, რუსები ამ ფორტებსაც დიდხანს ველარ შეინარჩუნებენო. ფორტი № 5 ეხლა ისევ იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. ხმა დადის, რუსების უბანი—ახალი ქალაქი იწვისო. იაპონელები სამას მძიმე ზარბაზანს ესვრიან ციხეს, ბოლო დროს კობესა, ნაგასაკისა და იოკოგამის ციხეებიდან დიდი ზარბაზნები გადმოიღეს დ პორტ-არტურს მიიტანეს. პალიუნჩუანი ჯერ კიდევ რუსის ხელშია. ამბობენ, ფორტი № 5-ც ისევ დაიბრუნეს რუსებმაო. ეს ფორტი ნამდვილი კარია ციხისა.

*** „დეილი ტელეგრაფ“-ი სწერს ამ ბოლო დროს შორეულ-აღმოსავლეთიდან ხშირად, თითქმის ყოველ დღე მოდის ცნობა, ჩინელებმა სთქვეს, იაპონელებს პორტ-არტურთან 10 ათასი კაცი მოუკლესო. იაპონელებს რომ ასეთი დიდი ზარალი მოსდიოდეთ, პორტ-არტურთან ჯარი აღარ დარჩებოდათ. ცხადია, ეს ცნობები ტყუილი უნდა იყოს. ზოგი იტყვის, ალბად, ჩინელები განგებ ლაპარაკობენ ტყუილებსაო, მაგრამ აი საქმე რაშია. ჩინური სიტყვა „უან“ 10 ათასსა ჰნიშნავს, ეგაა ამ სიტყვას ლაპარაკში ხშირად „ბევრის“ ნაცვლად ხმარობენ. კორესპონდენტებმა არ იციან კარგად ჩინური ენა და სიტყვა „უან“-ს მუდამ 10 ათასად სთარგმნიან. ჩინელი, ალბად, ეტყვის ხოლმე კორესპონდენტს; იაპონელებს „ბევრი“ („უან“) ხალხი დაუხოცესო, კორესპონდენტი-კი „ბევრის“ მაგივრად 10 ათასსა სწერს. უნდა იცოდეთ, რომ ჩინელი 100 კაცსაც „ბევრად“ („უან“) სთვლის (ნ. დ.)

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება**: უმაღლესი მანიფესტი
**სალიტერატურო განყოფილება**: იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების მე-44 რიგის კრების საყურადღებოდ, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ეკლესია, თარგ. ს. გორგაძის.—სამძიმარი.—ხოლერა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
*Дозволено цензурою* Архимандритъ Георгій 2[?] Августа *1904 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.